

ქალების ძალა - ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობა ინკლუზიური საზოგადოებისთვის საქართველოში

განხორციელების ვადა: 01.01.2021 - 01.01.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 861 729

მთლიანი ბიუჯეტი: € 959 201

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Stichting Women Engage For A Common Future - International

პროექტის ვებსაიტები: www.wecf.org, www.wecf.ge,
www.womenfundgeorgia.org,

პროექტის აღწერა:

პროექტი - "ქალების ძალა"- მიზნად ისახავს ქალებისა და გოგონების მხარდაჭერას საქართველოს ოთხ რეგიონში (კახეთი, გურია, რაჭა და იმერეთი), რათა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბრად მონაწილეობდნენ და პატრიარქალური აზროვნება თუ სტერეოტიპები შეცვალონ. ფემინისტი აქტივისტები, ახალგაზრდების ჩათვლით, დატრენინგდებიან და დაფინანსდებიან იმისათვის, რომ ადგილობრივი პროექტები განახორციელონ, რაც ქალების ეკონომიკურ გაძლიერებასა პოლიტიკურ მონაწილეობას ხელს შეუწყობს. ეს პროექტი მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს ადგილობრივი ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების ცხოვრების გაუმჯობესებაში.

მოსალოდნელი შედეგები:

შედეგი 1: ქალთა გაძლიერებისა და ახალგაზრდების 15 ადგილობრივ ტრენერს ექნება 2 ტრენინგ სახელმძღვანელო (აზერბაიჯანულ, სომხურ, ქართულ, რუსულ ენებზე) 4 ძირითადი მიმართულებით (პოლიტიკური, ეკონომიკური, თანასწორობა და უფლებები, თანამონაწილეობითი მდგრადობის დაგეგმვა და ბიუჯეტირება) ადგილობრივი ქალებისა და უმცირესობების ჯგუფებისთვის ადაპტირებული

შედეგი 2: სამოქალაქო საზოგადოებისა და CSO/ CBI-ის წარმომადგენელი 240 ქალისა და კაცის შესაძლებლობები გაძლიერდება, 650 ახალგაზრდა და 150 შშმ ქალი გამოიყენებს ახალ (ციფრულ) უნარებს საკუთარი პრიორიტეტების ინტეგრირებისთვის ადგილობრივი გადამწყვეტილებების მიღების პროცესსა და ბიუჯეტირებაში, ხელმისაწვდომი გახდება საჯარო სერვისები და ფონდები, გაიზრდება ეკონომიკური დამოუკიდებლობა და შეიცვლება ცნობიერება.

შედეგი 3: 30 მცირე საგრანტო და 60 ახალგაზრდული პროექტი (მთლიანი ბიუჯეტის 30-35%) მოიცავს 6000 ადგილობრივ ქალს, კაცსა და ახალგაზრდას 4 რეგიონში, ეკონომიკური / პოლიტიკური მონაწილეობისა და მათი პერსპექტივების გასაზრდელად (სოციალურ) მედიაში.

შედეგი 4: სტრატეგიული ქსელი და საზოგადოებრივ გამოკითხვაზე დაფუძნებული კვლევა უზრუნველყოფს გავლენიან მონაწილეობას და თანამშრომლობას არჩეულ ადგილობრივ საკრებულოებთან, პარლამენტარებთან და პრემიერ მინისტრის აპარატთან, სამიზნე ჯგუფების საჭიროებებისა და პრიორიტეტების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და პროგრამებში



Funded by the
European Union

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

<https://www.facebook.com/WECF.INTERNATIONAL>,
https://twitter.com/wecf_int/,
<https://www.facebook.com/WECFGeorgia;>,
<https://www.facebook.com/wandr.ge>,